# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №310

ქ. ქუთაისი

21 ივლისი 2014 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტის მერის შოთა მურღულიას სახით, (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი- წერილი №01-5156 21.07.14წ.; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3: ტელ: 24-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ ფ/პირის ავთანდილ სვანიძის სახით (მისამართი: ქ.თბილისი, ბერი თევდორე 34ა) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. 2014 წლის 22 ივლისს ქალაქ ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, კომპოზიტორის და პიანისტის, ბატონ ნოდარ ნიკოლაიშვილის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად „ესტრადის, თეატრისა და კინოს ხელოვანთა თანამეგობრობის“ ფონდის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილე ავთანდილ სვანიძის ჰონორარი.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება 875 (რვაას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი –79900000

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

## 3. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

3.1 „მიმწოდებლი“ ვალდებულია მომსახურება განახორციელოს 2014 წლის 22 ივლისს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2014 წლის 22 ივლისს.

4.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი“–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;

5.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ლარებში.

5.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

## 6.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

6.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

– გაწეული მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

9.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

9.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

101.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოონებლივ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

11.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომ წამოჭრილი დავები გადაწყვეტილი იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.
14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ..შემსყიდველთან".

## 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| ქალაქ ქუთაისის მერია | ფ/პირი |
| მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3 | მის: ქ.თბილისი, ბერი თევდორეს 34ა |
| ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" | ს.ს. „თიბისი ბანკი “ |
| ქუთაისი ფილიალი | ცენტრალური ფილიალი |
| ბ/კოდი: UGEBGE22 | ბ/კოდი: TBCBGE22 |
| ა/ა 33033303 | ა/ა GE42TB7946236010300007 |
| ს/კოდი: 212721170 | პ/ნ 60003004095 |
| ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი | ფიზიკური პირი |
| ---------- | ---------- |
| შოთა მურღულია | ავთანდილ სვანიძე |